საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ბათუმი 29 მარტი 2019 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-10/41

ბსუ-ს სარგებლობაში არსებული (მესაკუთრე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ. №12 -ში მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სახურავზე 2 კვ.მ. ფართის იჯარით სარგებლობისათვის ქირისა და პირობებიანი ელექტრონული აუქციონის პირობების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 21 ნოემბრის №06 გადაწყვეტილების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2011 წლის 5 მაისის №103 ბრძანების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2019 წლის 18 იანვრის № 41800 წერილის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2019 წლის 01 თებერვლის № 01-10/516 წერილის, ლიცენზირებული აუდიტორის შპს ,,დანი-აუდიტი"-ს მიერ შედგენილი იჯარის თანხის დამდგენი 2018 წლის 02 მაისის №02/2-30/1 აუდიტორული დასკვნისა და უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის 29.03.2019წ. № 369492 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს იჯარით, სამი წლის ვადით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება, ქ. ბათუმში, ფიროსმანის ქ.12 ს.კ. 05.24.05.084 მდებარე ტექნოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო კორპუსის სახურავზე 2 კვ.მ. ფართი, პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით.
2. წინამდებარე ბრძანებაში აღნიშნული ფართის (2 კვ.მ.) საწყისი წლიური საიჯარო ქირა დღგ–ის ჩათვლით, განისაზღვროს 12 000 (თორმეტი ათასი) ლარის ოდენობით.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/ზე განისაზღვროს 3 000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით, ხოლო „ბიჯი" - 120 (ასოცი) ლარის ოდენობით.

4. განისაზღვროს იჯარით სარგებლობაში გაცემის ელექტრონული აუქციონის შემდეგი პირობები:

ა) იჯარით აღებული ფართი გამოყენებული უნდა იქნას მობილური კავშირგაბმულობის გადამცემი ანტენის განსათავსებლად;

ბ) მოიჯარე ვალდებულია იჯარით აღებულ ფართზე გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, რისთვისაც უნდა უზრუნველყოს ელექტროენერგიის მრიცხველის განმხოლოება (ცალკე აბონენტად ან ქვეაბონენტად დარეგისტრირება) საკუთარი ხარჯებით და უზრუნველყოს ეკოლოგიური, სანიტარულ–ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა.

გ) საიჯარო ქირის გადახდილი უნდა იქნეს ყოველთვიურად, თანაბარწილად, არაუგვიანეს მომდევნო თვის 10 რიცხვისა;

დ) მოიჯარეს შეტანილი ბე ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის საფასურის ოდენობაში, საბოლოო ანგარიშსწორებისას;

ე) აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში, მეიჯარე უფლებამოსილია ყოველგვარი კომპენსაციებისა და ჯარიმის გარეშე ვადამდე შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება.

5. ელექტრონული აუქციონი გამოცხადდეს 2019 წლის 4 აპრილს 16 საათზე და დასრულდეს 2019 წლის 12 აპრილს 16 საათზე.

6. დაევალოს უნივერსიტეტის საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს უზრუნველყოს აუქციონის გამოცხადება კანონით დადგენილი ფორმით ვებგვერდზე - www.eauction.ge.

7. დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომუნიკაციების სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განცხადების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯემალ ანანიძე